ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4262394

ნომერი: AR1643188

თარიღი : 09.11.2018

გაცემის თარიღი : 13.11.2018

გაცნობის თარიღი : 13.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მერაბ კოსტავა , N 60;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 09 ნოემბრის AR1643188 განცხადება. სამსახურს, რომ მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესძლებლობა საჭიროა:

- განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. შპს „გრეიპ ლენდი grape land“-ის დირექტორია გიორგი სალაყაია. წარმოსადგენია შპს „გრეიპ ლენდი grape land“-ის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან გიორგი სალაყაია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. რაც შეეხება შენობის წინ არსებული ბორდიურისა და ტროტუარის ბუნებრივი ქვით მოპირკეთებას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებით დამტკიცებული „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის“ მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის ან/და მშენებლობის ნებართვის გარეშე შესაძლებელია ტროტუარის მოპირკეთება. აღნიშნულზე თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.
- ფოტომონტაჟზე არ იკითხება საპროექტო აბრა.
-არსესებული სიტუაციის ამსახველ ფოტოებზე კიბის მიმდებარედ, კედელზე ფიქსირდება ელექტრო სადენები, რომლებიც ამოღებულია ფოტომონტაჟიდან. წარმოდგენილი იქნას განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.(საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობით)
- გარე აგრეგატების განთავსება და შეფუთვა დაჟანგებული ლითონის ბადით ხდება კიბის მიმდებარედ ნიშაში სადაც შესასვლელი ფიქსირდება. საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით და განიმარტოს ვის საკუთრებაშია. კონდიციონერის გარე აგრეგატის მთავარ ფასადზე განთავსებისას გაითვალისიწინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (მუხლი 18. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება) მოთხოვნები; (გაითვალსიწინეთ, რომ თუ ქალაქის ტერიტორიაზე (დარეგისტრირებულზე ან დაურეგისტრირებელზე) ხდება ნებისმიერი სახის საპროექტო ობიექტის განთავსება, უნდა წარმოადგინოთ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;)
- საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ გარე აგრეგატების განთავსების ადგილი.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.